თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №9

თბილისი, 5 ოქტომბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის მდივანი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ოქროპირიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ნინო მინდიაშვილი;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

05

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – თამარ კორძაია.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
- აშშ-ის საელჩო – დათა ფარულავა.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – ირინა ფუტკარაძე;
- „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი“ – ნინო ჩარკვიანი;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

ab

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. **შესაძლო ძალადობის/ზეწოლის და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები:**

   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძში **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“** ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების ცემის შესახებ;
   - გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ **ირაკლი ოქრუაშვილისათვის** მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ცეცხლის გახსნის თაობაზე.

2. **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე შემოსული განცხადებების განხილვა:**

   - **„კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსის“** განცხადება **თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის** მხრიდან დისკრიმინაციულად მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების საზიანოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის შესახებ.

3. **სააგიტაციო მასალის განთავსების ხელშეშლის შესაძლო ფაქტები:**

   - **„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“** შეტყობინება **გორსა და თბილისში** მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პლაკატების გადაფარვის თაობაზე.

4. **„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების“** განცხადება საქართველოს მასშტაბით კენჭისყრის დღისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

5. სხვადასხვა.

სხდომის დასაწყისში იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის მინიჭების თაობაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიღწეულ პოლიტიკურ შეთანხმებას. თეა წულუკიანმა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მიულოცა ის წარმატება, რომელიც, მისი თქმით, მრავალი უწყების და, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროსა და მისი სამსახურების დაუღალავი შრომის შედეგია. მან მადლობა გადაუხადა ყველას, თითოეულ საჯარო მოხელეს, თითოეულ უწყებას, იუსტიციელებს, შს სამინისტროს თანამშრომლებს, ეკონომიკის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ გაწეული სამუშაოსთვის, რამაც ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას შეუწყო ხელი. მისი განცხადებით, ახალგაზრდა თაობისათვის ამ მთავრობამ ძალიან დიდი საქმე გააკეთა. ეს ის თაობაა, რომელიც ევროპაში თავისუფლად ივლის და იქ შეძენილ გამოცდილებას ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობას მოახმარს.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვამდე კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა უწყებათაშორისი კომისიის წარმატებულ მუშაობას და კომისიის სამდივნოს (იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაცია და პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი) მადლობა გადაუხადა 3 თვის განმავლობაში გაწეული სამუშაოსთვის. მან იქვე აღნიშნა, რომ 7 ოქტომბრისთვის გამოქვეყნდებოდა კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში.

შემდეგ კომისიამ მოისმინა პროკურატურის წარმომადგენლის ინფორმაცია დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან „ქართული ოცნების“ აქტივისტების ცემის ფაქტს. საკითხთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა განაცხადა, რომ მოწმის სახით გამოკითხულ იქნა 26 პირი; დაზარალებულად ცნობილ იქნა 5 პირი, საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ზუგდიდის რაიონული პროკურატურის მიერ 2016 წლის 04 ოქტომბერს გამოტანილ იქნა დადგენილება კახა ქირიას და პაპუნა კუკავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს სსკ 162' მუხლის პირველი ნაწილით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა).

მთავარი პროკურორის მოადგილემ ისაუბრა გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ოქრუაშვილისათვის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მისი მიმართულებით ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებითაც, რა დროსაც დაიჭრა ორი პიროვნება. ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული პირი, რომელიც არაერთხელ იყო ნასამართლევი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ამ პირის მიმართ მიმდინარეობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ პროცედურები. ბატონი გიორგის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ოქრუაშვილს ცეცხლი გაუხსნეს წინასაარჩევნო შეხვედრაზე, ამ ფაქტს არ ჰქონია კავშირი პოლიტიკურ მოტივებთან. მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამნაშავის მოტივს წარმოადგენდა ოქრუაშვილისადმი პირადი ანგარიშსწორება.

ზემოაღნიშნული შემთხვევების განხილვის შემდგომ კომისიამ მოისმინა „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსის“ განცხადება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მხრიდან მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის საკითხზე. ალიანსის წარმომადგენელმა, ბატონმა პაატა ჯიბლაძემ, განაცხადა, რომ დასახელებული სანქცია მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მიმართ დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა, რადგან იმავე ადგილებში სხვა საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალაც იყო განთავსებული.

ბატონმა მამუკა ჯაყელმა (თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი) გამომსვლელის პასუხად განაცხადა, რომ დასახელებული საარჩევნო სუბიექტის გარდა, განცხადებაში მითითებულ ადგილებზე პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით დაჯარიმდნენ სხვა პარტიებიც და არანაირ დისკრიმინაციას მემარცხენე ალიანსის მიმართ ადგილი არ ჰქონია. მან იქვე დაამატა, რომ შესაძლო სამართალდარღვევის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია, შეატყობინოს ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც ოპერატიულად გამოცხადდება და ადგილზე შეისწავლის საქმეს.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ბატონ პაატა ჯიბლაძეს შეახსენა, რომ ალიანსის წარმომადგენლების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების თაობაზე შეეძლოთ, მიემართათ სასამართლოსთვის და სწორედ სასამართლოს მიერ გადაწყდებოდა, ჰქონდა თუ არა დისკრიმინაციას ადგილი მათ მიმართ და რამდენად იყო ეს ოქმები შედგენილი კანონის ფარგლებში.

ბატონმა მამუკა ჯაყელმა ისაუბრა „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაზეც, რომელიც შეეხებოდა პლაკატების საკითხთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს. ბატონი მამუკას განცხადებით, ზედამხედველობის სამსახურის სპეციალურმა ჯგუფმა ოპერატიულად შეისწავლა საკითხი და, შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ექვსი საარჩევნო სუბიექტი დაჯარიმდა აკრძალულ ადგილზე პლაკატის გაკვრისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების“ განცხადება საარჩევნო უბნებზე კენჭისყრისთვის გამოყოფილ შენობა-ნაგებობებში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცესკო-ს წარმომადგენელი) განაცხადა, რომ ხარვეზები აღმოფხვრილია განცხადებაში მოხსენიებულ ყველა უბანზე; ძირითადად, ეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადმოცემულ შენობებს შეეხებოდა. ხშირ შემთხვევებში, უბნებში არ იყო უზრუნველყოფილი სველი წერტილები. ცესკო-მ კერძო კომპანიასთან ხელშეკრულების საფუძველზე ზემოხსენებული შენობები უზრუნველყო ბიო სველი წერტილებით. ყველა არსებულ უბანზე ელექტროენერგია გამართულად მიეწოდება, თუმცა, ცესკო-მ ვერ შეძლო თითოეული უბნის სრული კეთილმოწყობა სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის კუთხით, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ცესკო-ს რესურსებით ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებული საკუთრების აღდგენა-რემონტის ფაქტებს; ეს კი აშკარა კანონშეუსაბამო ქმედებად ჩაითვლებოდა და სახელმწიფო აუდიტის შესწავლის საგანი გახდებოდა.

სხდომის მიმდინარეობისას კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა 4 სექტემბრის შემთხვევას (თბილისში გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქების ფაქტი), რომელიც, მისი შეფასებით, იყო სახელმწიფოსა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული დივერსია. ქალბატონი თეა წულუკიანის თქმით, ამ ეტაზე მომხდარი ფაქტის შეფასებისგან თავს შეიკავებდა, რადგან გამოძიება ახალი დაწყებულია და ჯობდა, საზოგადოება მის შედეგებს დალოდებოდა. აქვე, იუსტიციის მინისტრმა ისაუბრა მედიაში არაერთი მოქალაქისა თუ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დაგეგმილი შესაძლო დესტაბილიზაციის თაობაზე და მოუწოდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მაქსიმალური მობილიზაციისკენ ყველანაირი პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით. კომისიის თავმჯდომარემ, ასევე, აღნიშნა, რომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, მის მიერვე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას, რისი განხორციელებისთანავე იგი იქნება დაკავებული სამართალდამცავების მიერ როგორც

ძებნილი, სისხლის სამართლის არაერთ საქმეზე ბრალდებული პირი. ამასთან, სასურველია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე არ ერეოდეს საქართველოს საქმეებში.

შემდგომ სიტყვა გადაეცა ბატონ დანიელ დავითაშვილს („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"). მან მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს სამართლიანი გარემოს შექმნისა და კომისიის მიერ გაწეული სამუშაოსთვის. ბატონმა დანიელმა მის მიერ დასახელებულ საკითხებს შორის ყურადღება გაამახვილა წინა სხდომაზე განხილულ თემაზე საარჩევნო ბიულეტენების კონვერტში მოთავსების წესთან დაკავშირებით. ქალბატონმა თეა წულუკიანმა ბატონ დანიელს გააცნო ცესკო-ს მიერ მოწოდებული სპეციალური ტექსტი, რომელიც გაეკვრება საარჩევნო კაბინებთან – ტექსტში მოყვანილია ამონარიდები კანონიდან აკრძალვებისა და შესაბამისი წესების შესახებ, რომელთა თაობაზეც მოქალაქეები სრულყოფილად იქნებიან ინფორმირებულნი.

შემდგომ ქალბატონმა თეა წულუკიანმა სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს. ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა კომისიას გააცნო მიმდინარე კვირას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასრულებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევების საქმეები. არსებული მონაცემებით, ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 3 ოქმი:

1) ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;
2) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთ-ერთი საჯარო მოხელის მიმართ, რომელმაც განათავსა შესაბამისი ინფორმაცია სამინისტროს მიერ ადმინისტრირებული სოციალური ქსელის (Facebook) გვერდზე;
3) „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის" მიმართ საარჩევნო კანონმდებლობასთან შეუსაბამო საარჩევნო სარეკლამო კლიპის მაუწყებელში გაშვების თაობაზე.

შემდგომ დამსწრე საზოგადოების საყურადღებოდ კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის ცხელი ხაზი განაგრძობს მუშაობას 24-საათიან რეჟიმში, ხოლო არჩევნების დღისთვის სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ ამოქმედდება მეორე ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით შექმნილი ნებისმიერი პრობლემის გამოვლენისას. აქვე ქალბატონმა თეა წულუკიანმა იმედი გამოთქვა, რომ არჩევნები ჩაივლიდა მშვიდ გარემოში და დამსწრე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს წარმატებები უსურვა.

სამუშაო შეხვედრის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისა და გაწეული შრომისათვის.

მომდევნო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 12 ოქტომბერს[1], 18:00 საათზე, რის შესახებაც კომისიის სამდივნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთ წინასწარ ინფორმირებას უზრუნველყოფდა.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

სხდომა დასრულდა 19.00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:

[1] თავმჯდომარის საზღვარგარეთ მივლინების გამო, ჩატარდა 13 ოქტომბერს, 18 საათზე.